№ 53 მთავრობის ორგანო

# საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. შაბათი, 6 მარტი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთის ფასი 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ., მეოთხე გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ზ. ი. ვალახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, მარტის 6, ოპერა მუშებისათვის

### იოლანტა და ბალეტი

კვირას, მარტის 7, დილით „ევგენი ონეგინი". საღამოს ა. დემიანენკოს ბენეფისი 1. „კამორა", 2. „ბორის გოდუნოვი". მზადდება დასადგმელად ოპერა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" ორშაბათს, მარტის 8, რეჟისორ ბელსკის 40 წლის იუბილე ნინო კოშიცის მესამე გასტროლი „პიკის ქალი". 267

## გამგეობა ევროპიულ აზიურ-სავაჭრო-სამრეწველო

აქციონერულ საზოგადოების „ევრაზია", იწვევს ყველა აქციონერებს საზოგადოების განსაკუთრებულ საზოგადო კრებაზე, რომელიც უნდა შესდგეს ამა წლის 15 აპრილს, დღის 1 საათზე, საზოგადოების ბინაზე, ბარიათინის ქუჩა № 2. დღის წესრიგი: 1. დამტკიცება დირექტორ გამწესრიგებლის თავის თანამდებობაზე. 2. დამტკიცება ინსტრუქციისა დირექტორ გამწესრიგებლის და გამგეობის. 3. განხილვა და დამტკიცება ხარჯების და მიმდინარე წლის მოქმედების გეგმის. 4. გადიდება ძირითადი თანხის. 5. მიმდინარე კითხვები. 399

## ოფიციალური განყოფილება

დამატება № 3.

## სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მამულთა განყოფილება.

| № რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობათა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თითოს. | წლიური ჯამაგირი თითოს. | წლიური ჯამაგირი ყველას. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მ ა ნ ე თ ი. | | |
| | **4 ცენტრალი ორგანო.** | | | | |
| 1 | განყოფილების გამგე | 1 | 5000 | 60000 | 60000 |
| 2 | სასოფლო სამეურნ. ინსპექტორი | 3 | 4000 | 48000 | 144000 |
| 3 | განყოფილების მდივანი | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 4 | სექციის გამგე | 5 | 3500 | 42000 | 210000 |
| 5 | საქმის მწარმოებელი | 5 | 2100 | 25200 | 126000 |
| 6 | უფროსი სპეციალისტი | 2 | 3500 | 42000 | 84000 |
| 7 | სპეციალისტი და კონსულტანტი | 7 | 3000 | 36000 | 252000 |
| 8 | ინსტრუქტორი | 3 | 1400 | 16800 | 50400 |
| 9 | მანქანით გადამწერი—4, მწერალი—1, მდივანი სტატისტიკურ ბიუროსი—1, რეგისტრატორი—2, სულ | 8 | 1300 | 15600 | 124800 |
| 10 | შიკრიკი | 2 | 1225 | 14700 | 29400 |
| | ჯამი | 37 | — | — | 1122600 |
| | **საცდელი საქმის სექცია** | | | | |
| | **ტფილისის ბოტანიკური ბაღი.** | | | | |
| 1 | დირექტორი | 1 | 4050 | 48600 | 48600 |
| 2 | უფროსი ბოტანიკი | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 3 | ბოტანიკი ფიზიოლოგი, სელექტორი-მეველე, ენტომოლოგი, პირველი სპეციალისტი ყვავილოვან მცენარეებისა | 4 | 3500 | 42000 | 168000 |
| 4 | მეორე სპეციალისტი ყვავილოვან მცენარეებისა, სპეციალისტი სპოროვანი მცენარეებისა, სპეციალისტი სამკურნალო მცენარეებისა, სპეციალისტი-მეველე და თესლის სადგურის გამგე | 5 | 3150 | 37800 | 189000 |
| 5 | კულტურის გამგე | 1 | 3000 | 36000 | 36000 |
| 6 | კონსერვატორი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 7 | კანცელარიის მოხელე და ბაღის განყოფილების 2 გამგე | 3 | 1470 | 17640 | 52920 |
| | ჯამი | 16 | — | — | 564720 |
| | **ტფილისის საابრეშუმო სადგური.** | | | | |
| 1 | სადგურის გამგე | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 2 | სპეციალისტი (მეფუტკრე და ზოოლოგი) | 2 | 3150 | 37800 | 75600 |
| 3 | საწყობის გამგე, 2 უფროსი მეაბრეშუმე, უფროსი მეფუტკრე და მებაღე | 5 | 1232 | 14784 | 73920 |
| 4 | მოახგარიშე | 1 | 1400 | 16800 | 16800 |
| 5 | ლაბორანტი | 2 | 1295 | 15540 | 31080 |
| 6 | ზედამხედველი | 1 | 1295 | 15540 | 15540 |
| 7 | მიკროსკოპისტი—2, და გადამწერი—1 | 3 | 1295 | 15540 | 46620 |
| 8 | კოლექციების შემდგენელი | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| 9 | ბაღის მუშა | 2 | 1225 | 14700 | 29400 |
| 10 | შიკრიკი, მეეზოვე—2, მეჯინიბე და დარაჯი | 5 | 1225 | 14700 | 73500 |
| | ჯამი | 23 | — | — | 414960 |
| | **ქიმიური ლაბორატორია.** | | | | |
| 1 | დირექტორი | 1 | 4500 | 54000 | 54000 |
| 2 | ნიადაგის მცოდნე | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 3 | ლაბორანტი და ბაქტერიოლოგი | 4 | 3500 | 42000 | 168000 |
| 4 | მწერალი | 1 | 1680 | 20160 | 20160 |
| 5 | გზირი | 2 | 1225 | 14700 | 29400 |
| | ჯამი | 9 | — | — | 313560 |
| | **სოხუმის საცდელი სადგური.** | | | | |
| 1 | სპეციალისტი სამკურნალო მცენარეებისა (იგივე გამგის თანაშემწის მოვალეობის აღმასრულებელი) | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 2 | ბაღის გამგე, ქიმიკოსი, მიკოლოგი, მეხილე და ქიმიკოსი-ლაბორანტი | 4 | 3150 | 37800 | 151200 |
| 3 | მეტეოროლოგი და ენტომოლოგი | 2 | 3500 | 42000 | 84000 |
| 4 | ქიმიკოსი-ლაბორანტი | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 5 | ბოსტნის გამგე | 1 | 1400 | 16800 | 16800 |
| 6 | მწერალი | 1 | 1400 | 16800 | 16800 |
| 7 | მანქანით გადამწერი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 8 | ექიმი | 1 | 100 | 1200 | 1200 |
| 9 | მეტეოროლოგიური სადგურის მეთვალყურე | 1 | 1260 | 15120 | 15120 |
| 10 | მებაღე მისი თანაშემწე და დურგალი | 4 | 1120 | 13440 | 53760 |
| 11 | მოსამსახურე, დარაჯი, მეჯინიბე და მუშა | 16 | 1225 | 14700 | 235200 |
| | ჯამი | 33 | — | — | 66-480 |
| | **ქუთაისის საცდელი მინდორი.** | | | | |
| | მინდვრების გამგე | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| | მწერალი | 1 | 1085 | 13020 | 13020 |
| | მებაღე და მუშები (8) | 9 | 1085 | 13020 | 117180 |
| | ჯამი | 11 | — | — | 164000 |
| | **ოზურგეთის საცდელი პლანტაცია.** | | | | |
| | გამგის თანამდებობის მოვალეობის აღმასრულებელი | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| | მეთეოროლოგი | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| | მინდვრების ნოქარ-მებაღე, მუშა და დარაჯი | 13 | 1015 | 12180 | 158340 |
| | ჯამი | 15 | — | — | 233940 |
| | **ქუთაისის საابრეშუმო პუნქტი.** | | | | |
| 1 | პუნქტის გამგე | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 2 | ინსტრუქტორი | 1 | 1540 | 18480 | 18480 |
| 3 | მეაბრეშუმე, მიკროსკოპისტი და მებაღე | 3 | 1155 | 13860 | 41580 |
| 4 | მოსამსახურე და მუშა | 3 | 1085 | 13020 | 39060 |
| | ჯამი | 8 | — | — | 136920 |
| | **სოხუმის სათამბაქო პლანტაცია.** | | | | |
| 1 | პლანტაციის გამგე | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 2 | ტეხნიკოსი | 2 | 1400 | 16800 | 33600 |
| 3 | დარაჯი და მეჯინიბე | 2 | 1085 | 13020 | 26040 |
| | ჯამი | 5 | — | — | 97440 |
| | სულ საცდელ საქმის სექციისა | — | — | — | 2599020 |
| | **კურორტთა სექცია.** | | | | |
| | **ბორჯომის მამული.** | | | | |
| 1 | მოურავი | 1 | 4500 | 54000 | 54000 |
| 2 | უფროსი ტყის მცველი | 1 | 4050 | 48600 | 48600 |
| 3 | საქმის მმართველი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 4 | უფროსი ბუხჰალტერი | 1 | 3150 | 37800 | 37820 |
| 5 | ბუხჰალტერი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 7 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 8 | უფროსი ექიმი | 1 | 4050 | 48600 | 48600 |
| 9 | საავადმყოფოს ორდინატორი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 10 | სანიტარი ექიმი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 11 | ტყის-მცველი | 1 | 2 00 | 32400 | 32400 |
| 12 | ტყის მცველი | 4 | 2700 | 32400 | 129600 |
| 13 | " " | 1 | 2250 | 27(00 | 27000 |
| 14 | ტყის-მცველის თანაშემწე | 2 | 1800 | 21600 | 43200 |
| | " " | 2 | 1800 | 21600 | 43200 |
| | ჯამი | 19 | — | — | 618000 |
| | **აბასთუმნის მამული.** | | | | |
| 1 | მოურავი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 3 | ხუროთმოძღვარი | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 4 | ტეხნიკოსი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 5 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 6 | სამეურნეო და ადმინისტრატიულ ნაწილის გამგე | 2 | 2100 | 25200 | 50400 |
| 7 | ბალნეოლოგიური განყოფილების მოლარე | 1 | 1470 | 17640 | 17640 |
| 8 | ზეინკალი | 1 | 1470 | 17640 | 17640 |
| 9 | უფროსი დარაჯი | 1 | 1260 | 15120 | 15120 |
| 10 | ვანების (საბანელი) დარაჯი | 1 | 1190 | 14280 | 14280 |
| 11 | დარაჯი | 5 | 1120 | 13440 | 67200 |
| 12 | დარბაზის დარაჯი | 1 | 1050 | 12600 | 12600 |
| 13 | დურგალი | 1 | 1680 | 20160 | 20160 |
| | ჯამი | 18 | — | — | 357240 |
| | სულ კურორტთა სექციისთვის | — | — | — | 975240 |
| | **აგრონომიული დახმარების სექცია.** | | | | |
| | მავნებელთა მებრძოლი ბიურო ტფილისში: | | | | |
| 1 | სპეციალისტი მიკოლოგი | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 2 | ბიუროს გამგე ენტომოლოგი | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 3 | სპეციალისტის თანაშემწე | 2 | 2100 | 25200 | 50400 |
| 4 | ინსტრუქტორი | 4 | 1435 | 17220 | 68880 |
| 5 | მწერალი | 1 | 1330 | 15960 | 15960 |
| 6 | დარაჯი | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| | სულ სექციისთვის | 10 | — | — | 283940 |

**სასოფ.-მეურნ. განყოფილების განათლების სექცია.**

ტფილისის კულტურ-ტეხნიკური სასწავლებელი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დირექტორი | 1 | 4600 | 55200 | 55200 |
| 2 | ინსპექტორი | 1 | 3376 | 40512 | 40512 |
| 3 | ზოგად განათლების საგნების მასწავლებელი | 4 | 1800 | 21600 | 86400 |
| 4 | სპეციალ. საგნების მასწავლებელი | 8 | 1800 | 21600 | 172800 |
| 5 | დამატებითი გაკვეთილი ზოგადი საგნებისა | 40 გ. | 4660 | 56016 | 56016 |
| 6 | დამატებითი გაკვეთილი სპეციალი საგნებისა | 98 გ. | 14700 | 176400 | 176400 |
| 7 | ზოგად განათლების მოწვეული მასწავლებელი | 2 | 875 | 10500 | 21000 |
| 8 | სპეციალი საგნებისათვის მოწვეული მასწავლებელი | 13 | 2411-50 | 28938 | 376194 |
| 9 | მეთვალყურე საშინაო სწავლა დამთავრებული | 2 | 1700 | 20400 | 40800 |
| 10 | ლაბორანტი | 2 | 2000 | 24000 | 48000 |
| 11 | კანცელარიის გამგე | 1 | 2000 | 22000 | 24000 |
| 12 | საბჭოს მდივანი | 1 | 200 | 2400 | 2400 |
| 13 | ბიბლიოთეკის გამგე | 1 | 200 | 4400 | 2400 |
| 14 | ექიმი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 15 | ფერშალი | 1 | 1200 | 14400 | 14400 |
| 16 | დამატებითი ჯამაგირი მეორე განყოფილებისათვის | 1 | 430 | 5160 | 5160 |
| 17 | შენობის გამგე | 1 | 1312-50 | 15750 | 15750 |
| 18 | დარაჯი | 8 | 1225 | 14700 | 117600 |
| | ჯამი | 48 | — | — | 1267032 |

**ა) ქუთაისის სასოფლო-სამ. სკოლა.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლის გამგე | 1 | 4000 | 48000 | 48000 |
| 2 | სპეციალი საგნების მასწავლებელი | 3 | 3200 | 38400 | 115200 |
| 3 | ბუხების მეტყველების მასწავლებელი | 1 | 3200 | 38400 | 38400 |
| 4 | საზოგადო საგნების მასწავლებელი | 2 | 3200 | 38400 | 76800 |
| 5 | მებაღე | 1 | 1295 | 15540 | 15540 |
| 6 | ფერშალი (იგივე ეკონომი) | 1 | 1680 | 20160 | 20160 |
| 7 | დაბალი მოხელე | 9 | 1085 | 13020 | 117180 |
| | ჯამი | 18 | — | — | 431280 |

**ბ) წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლის გამგე | 1 | 2400 | 28800 | 28800 |
| 2 | სპეციალი საგნების მასწავლებელი | 1 | 2120 | 25440 | 25440 |
| 3 | საზოგადო საგნების მასწავლებელი | 4 | 2000 | 24000 | 96000 |
| 4 | ხელოსანი (დურგალი) | 1 | 1155 | 13860 | 13860 |
| 5 | მებაღე | 2 | 1085 | 13020 | 26040 |
| 6 | მუშა | 2 | 1015 | 12180 | 24360 |
| | ჯამი | 11 | — | — | 214500 |

**დ) მერეთის პირველ დაწყებითი სამეურნეო სკოლა.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გამგე | 1 | 3200 | 28400 | 38400 |
| 2 | მასწავლებელი | 4 | 2000 | 24000 | 96000 |
| 3 | [illegible] | 1 | 1085 | [illegible] | 13020 |
| 4 | მუშა | 1 | 1015 | 12180 | 12180 |
| | ჯამი | 7 | — | — | 159600 |

**ე) პრაქტიკული სამეურნეო სკოლა.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მასწავლებელი სკრაში | 1 | 2400 | 28800 | 28800 |
| 2 | " საქარაში | 1 | 1800 | 21600 | 21600 |
| | ჯამი | 2 | — | — | 50400 |
| | სულ სექციისთვის | — | — | — | 2122812 |

**სახელმწიფო მამულთა სექცია.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოურავი (წინანდლისა, ნაფარეულისა, მუკუზანისა, ვარციხისა, ქართლისა, გიაურარხისა, ტფილისის სახელმწიფო საწყობისა) | 7 | 3150 | 37800 | 264600 |
| 2 | მოურავი (ვაქევისა, მანავისა, საქარის სანერგესი, სკრისა, სინოპისა და დიოსკურისა, იკუძენოვისი, კარდანახისა) | 7 | 2700 | 32400 | 226800 |
| 3 | მეღვინე (სარდაფის გამგე) | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 4 | ექიმი (წინანდლის მამულისა) | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 5 | სახელმწიფო საჯინიბოს გამგე | 1 | 3150 | 37800 | 37800 |
| 6 | სახელმწიფო საჯინიბოს საქმის მწარმოებელი | 1 | 2100 | 25200 | 25200 |
| 7 | უფროსი მეითალი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| | ჯამი | 19 | — | — | 651600 |

**ყარაიაზის სახელმწიფო მამულის შტატი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მამულის გამგე | 1 | 3500 | 42000 | 42000 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 3000 | 36000 | 36000 |
| 3 | ბუხჰალტერი ანგარიშე | 1 | 2500 | 30000 | 30000 |
| 4 | მუდმივი მუშა | 12 | 1225 | 14700 | 176400 |
| 5 | მეჯინიბე-მეეტლე | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| 6 | მხაზული | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| 7 | ჩაფარი (ცხენოსანი დარაჯი) | 6 | 1225 | 14700 | 88200 |
| 8 | მწყემსი | 2 | 1225 | 14700 | 29400 |
| 9 | მეეზოვე მუშა | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| 10 | პურის მცხობელი | 1 | 1225 | 14700 | 14700 |
| | ჯამი | 27 | — | — | 460800 |
| | სულ სახელმწიფო მამულთა სექციისთვის | — | — | — | 1112400 |
| | სულ განყოფილებას | 336 | — | — | 8166012 |

1920 წ. თებერვლის 20-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

**არა ოფიციალური განყოფილება**

# გზათა სამინისტროში.

**კახეთის რკინის გზის საკითხი.**

3 მარტს გზათა დეპარტამენტის საბჭოს სხდომამ განიხილა ახალ რკინის გზათა განყოფილების უფროსის ინჟ. კრაცის მოხსენება კახეთის რკინის გზის გამგებლობის სახაზინო რკინის გზების გამგებლობასთან შეერთების შესახებ. საბჭომ ლიათ დასტოვა ეს საკითხი, კახეთის რკინის გზის საობლიგაციო თანხის გარანტიის უგარანტიობის გამო კახეთის რკინის გზის სახაზინო რკინის გზებთან შეერთება ნიშნავს ხსენებულ რკინისგზის გამოსყიდვას ხაზინის მიერ. ხსენებული საკითხი გადაეცა ინჟინერთა და ტეხნიკოსების კომისიას, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს და წარუდგენს დასასკვნელად გზათა დეპარტამენტს.

**იტალიის სესხი გზათა უწყებას.**

3 მარტს გზათა დეპარტამენტის დირექტორს წარუდგა იტალიის სამოქალაქო მისიის ფინანსიური კომისია გზათა უწყებისთვის სესხის მიცემის შესახებ მოსალაპარაკებლად. კომისიამ თავისი მხრით წამოაყენა სესხის შემდეგი პირობები. მისია თანახმაა საქართველოს გზათა უწყებას სესხათ მისცეს 30 მილ. იტალიური ლირა, რომლის გადახდა საქართველოს მთავრობას შეეძლება ხსენებულ მისიისათვის საჭირო რაოდენობის ქვანახშირისა და შავი ქვის მიცემით. გარდა ამისა იტალიის მისია საქართველოს სესხში გამოუქვითავს იმფულს, რომელიც ერგება საქართველოს გზათა უწყებას იტალიის საქონლის გადაზიდვაში საქართველოს რკინის გზებზე.

სამაგიეროთ მისია კისრულობს:

1) მიჰყიდოს საქართველოს მთავრობას რკინის გზების საჭიროებისათვის სხვა და სხვა მასალები იმ ფასებში, როგორც ხსენებულ მასალებს იძენენ თვითონ იტალიაში სახაზინო რკინის გზების საჭიროებისათვის; 2) გასწმინდოს და გაალრმავოს ფოთის ნავთის ნავთსადგური, რის შემდეგ მიწის გამწმენდელი მანქანა რჩება საქართველოს საკუთრებად და 3) მოაწყოს იქვე ნავთსადგურში წყალსადენი, ააგოს ბარაკები და მუშებისთვის სხვა საჭირო შენობები. საჭირო მასალების შესაძენათ, იტალიაში გამგზავრებისას მისია თხოულობს მათ გაჰყვეს 2 ინჟინერი, როგორც საქართველოს გზათა უწყების საჭიროებისათვის შესაძენ მასალათა მიმღები და წამომღები რწმუნებულნი.

# მიწის ძვრა

**მთავრობის საგანგებო კომიტეტის დადგენილებანი:**

**გორის გიმნაზიების გადმოტანა.** ვაჟთა გიმნაზია გადმოტანილ იქნეს ტფილისის მე 4 ვაჟთა გიმნაზიაში, ქალთა გიმნაზია კი მე-2 ქალთა გიმნაზიაში იმ პირობით, რომ სწავლა უნდა სწარმოებდეს საღამოობით.

თვითეულ მოწაფეს მიეცეს ხარჯათ 1500 მ. თვიურად 3 თვის განმავლობაში წინადადებით მოეწყონ კერძო ბინებზედ, რის შესრულებაც დაევალოს განათლების სამინისტროს, სასწავლებელთა მშობელთა წრეებს და მოწაფეთა ორგანიზაციების თანამშრომლობით. მთავარმა კომიტეტმა გამოსცა მოწოდება საზოგადოებისადმი ლტოლვილ მოწაფეთა ბინებზედ მიღების და ყოველგვარ დახმარების აღმოჩენის შესახებ ამ საკითხში. გორის გიმნაზიების მასწავლებელთა ბინებისთვის დათმობილ იქმნეს შენობა პეტრე დიდის ქუჩაზედ (ყოფილი შინაგან საქმეთა სამინისტრო) 30 ოთახიდგან შემდგარი. იქვე მოეწყოს სამზარეულო, რომლის აშენება მიენდოს ინჟინერ ჯაიანს. მასწავლებელთა გადმოსვლის გამოწვეულ ხარჯების დასაფარავათ მიეცეთ თვითეულ მათგანს ცოლიანს თვიური ჯამაგირი, ხოლო უცოლოს ნახევარი თვის ჯამაგირი.

**ლტოლვილთა ბარგის გადმოზიდვა.**

ლტოლვილთა ბარგის სად. ტფილისიდან კერძო ბინამდე გადაზიდვის საფასურის, რომელიც კომიტეტმა უნდა იკისროს, განისაზღვროს 2000 მანეთამდე და თვითოეულ აღნიშნულ დახმარების გადაწყვეტა მიენდოს კომიტეტის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს.

**სასადილოების გახსნა**

ა. წ. 10 მარტიდან მოსპობილ იქმნეს უფასო ჩაი შაქრის და პურის დარიგება მცხოვრებთათვის. გორის მაზრის სოფლებში გაჭირვებულ ოჯახებს დახმარება გაუწიოს პურით, თუ მათი გაჭირვებული მდგომარეობა დადასტურებული იქნება ერობის, თემების და ადგილობრივ დაწესებულებათა მიერ. შეწყვეტილ უფასო პურის დარიგების მაგიერ მიეწეროს რწმუნებულ ზანდუკელს და კოოპერატიულ კავშირს გახსნან სასადილოები.

—

რადგანაც გორში და მის მიდამოებში გახშირდა ექსცესები, ძარცვა, ქურდობა და სხვა, რის მოსასპობათაც საჭიროა ენერგიული და სასტიკი ზომების მიღება, აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ ქ. გორში და მის მაზრაში გამოცხადებულ იქნეს სამხედრო წესები და დაარსდეს სამხედრო საველე სასამართლო.

**პროფეს. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს დახმარება.**

მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირთ ცენტრალურ საბჭოს დაუარსებია გორის უბედურობით დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი, რომელსაც შეუკრებია უკვე შემოწირულება 100000—200000 მანეთამდე და განაგრძობს შემოწირულების მიღებას, რომელი თანხაც გადაეცემა მთავრობის კომიტეტს. საბჭოს გადაწყვეტილებით მთელ საქართველოში განსაკუთრებულ ერთი კვირა დღე გამოცხადებულ იქმნება მუშებისთვის სამუშაო დღეთ და ამ დღის შემოსავალი გადაეცემა გორში დაზარალებულთა სასარგებლოთ. ამის გამო მთავრობის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა: გამოეცხადოს მადლობა სიტყვიერი და პრესის საშუალებით ხსენებულ საბჭოს უხვი და მიზანშეწონილ დახმარებისთვის.

**მოწოდება.**

მოქალაქენო! ქალ. გორის ნანგრევებმა შესწყვიტეს ახალგაზდა თაობის სწავლა-განათლება. სკოლების ნანგრევებ ქვეშ მოჰყვა იმედი მომავალი თაობის. ახალთაობა მოსწყდა კულტურის კერას, მოსწყდა აღზრდა განვითარებას დარჩა ცის ქვეშ თვალცრემლიანი.

ნივთიერი უბედურების საშინელება გორის მცხოვრებთათვის გაორკეცებული იქნება. უდიდესი და უსაშინელესი ზნეობრივი ტანჯვაა, თუ მათი შვილები ქუჩაში დარჩენ და განათლებას მოაკლდენ.

მოქალაქენო, თქვენს მზრუნველობაზეა დამოკიდებული დღეს მათი ბედი.

მთავრობის საგანგებო კომიტეტმა დაადგინა გადმოიყვანოს გორის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლენი და მასწავლებელნი ქ. ტფილისში.

მაგრამ მათ უნდა დაბინავება, ოჯახური მზრუნველობა. მშობლებთან ერთად ისინი აქ ვერ მოთავსდებიან საშინელ სივიწროვის გამო, ბავშვები, მოსწავლე ახალგაზდობა თქვენგან მოელის შველას. დაეხმარეთ საგანგებო კომიტეტს მათ დაბინავებაში. დაუთმეთ მათ ერთი კუთხი თქვენი შვილების გვერდით.

მოქალაქენო, შეიხიზნეთ თითო მოწაფე. თუ თქვენ შეძლება გაქვთ—იკისრეთ ერთი ბავშვის რჩენაც. თუ შეძლება არ გაქვთ, ბინა მაინც მოუხერხეთ და საგანგებო კომიტეტი დაფარავს ხარჯებს.

მოქალაქენო, მშობელთ წრეებო, ტფილისის მოწაფენო, თქვენ გაწევთ პირველად ყოვლისა ვალი ამ ნორჩ მოძმეთა დახმარების.

განცხადება ბინის მიცემის შესახებ მიიღება მთავრობის საგანგებო კომიტეტში (იუსტიციის სამინისტრო, სასამართლოს შენობა) და განათლების სამინისტროში.

მთავრობის საგანგებო კომიტეტი.

**შემოწირულებანი**

ტფილისის ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში მლოცველთა შორის შეგროვილი თებერვლის 22, 25, 28 და 29. 4086 მან. 5 კაპ., ამავე ეკლესიის სამრევლო საბჭოსაგან 5000 მან., ტფილისის პეტრე-პავლეს ეკლესიის სამრევლო საბჭოსაგან საეკლესიო თანხიდან 2000 მან., ქ. ეკატერინე ნადირაძისაგან 50 მან., დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში მლოცველთ შორის შეგროვილი თებერვლის 21, 22 და 23, 6000 მან., სიონის საკრებულო ტაძრის თანხიდან 1000 მან., იმავე ტაძარში შეგროვილი თებერვლის 29, 5602 მ. ნ. 8 კ. ტფილისის წმ. სამების ეკლესიაში მლოცველთა შორის შეგროვილი თებერვლის 28 და 29 358 მან. 45 კაპ., იმავე ეკლესიის სამრევლო საბჭოსაგან 1000 მან., ტფილისის მამა დავითის ეკლესიაში მლოცველთა შორის შეგროვილი თებერვლის 29, 330 მან., იმავე ეკლესიის სამრევლო საბჭოსაგან 3000 მან., ტფილისის ვერის წმ. ნიკოლოზის სამრევლო საბჭოსაგან 3000 მან,, ტფილისის კარის პატარა წმ. გიორგის ეკლესიის სამრევლო საბჭოსაგან 500 მან., წმ. მარინეს საკრებულო ტაძრის თანხიდან 1000 მან. და ამავე ტაძარში შეგროვილი თებერვლის 28 და 29, 933 მან. 50 კაპ. სულ 32860 მან. 8 კაპ.

ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესიაში შეკრებილ იქნა 1135 მან. 54 კაპ. ფული გაეგზავნა საკათალიკოსო საბჭოს.

წ. კ. გ. ს. მოსამსახურე პირთა შორის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შეკრებილ იქმნა 3525 მან.

ხუთას-ხუთასი მან. ვარლამ ბურჯანაძემ და დავით კარიჭაშვილმა; სამასი მან. ვასილ ედილაშვილმა; ორას-ორასი მან. ივანე ავალიშვილმა, ლავრენტი სანაძემ, თევდორე კიკვაძემ, ილია აგლაძემ, ივანე მელაძემ, შიო დედაბრიშვილმა, ელენე კარიჭაშვილმა, ოლღა დემურიშვილმა, ვასილ გადილიამ, ვასილ ყიფიანმა; ას-ასი მან. თამარ ჯარიაშვილმა და თამარ დანელიამ; ოცდა ხუთი მან.; პეტრე გლადიშევმა.

**ნივთების შემგროვებელი კომისია**

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოწირულების შემგროვებელმა კომისიამ იცნო რა წარმომადგენლები ქალთა ყველა ორგანიზაციებისა, გაანაწილა სამუშაო ორ კომისიის შორის ნივთები გროვდება ინა ივანეს ასულის ჟორდანიას ხელმძღვანელობით

და თავმჯდომარეობით. სხდომა პრეზიდიუმისა, რომელშიაც შედიან ნ. ნაკაშიძე, კ. ამირაჯიბი, ე. ავთანდილოვა და ყორღანოვა. არის ყოველ დღე, პეტრე დიდის ქ., № 8, 12—3 საათ. ბავშვობისა და დედობის დამცველ საზოგადოების კანცელარიაში. სთხოვენ ყველა თანამგრძნობთ მიიღონ მონაწილეობა შეგროვებაში და მიმართონ ბიუროს. ნივთების შეგროვება იქნება პარასკევს 5 მარტს და შაბათს 6 მარტს. სთხოვენ ყველა მოქალაქეთ ვისაც რა შეუძლია დააბარონ შემგროვებელთათვის, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სათანადო მოწმობებით.

### პროფ. კავშირი.

პროფეს. კავშირმა დაადგინა, რათა ყველა კავშირების წევრებმა გადასდონ ერთი დღის ხელფასი. კავშირებს უფლება ეძლევა აგრეთვე შეგროვება გამართოს დახმარებისა და ერთი დღის ხელფასზე მეტიც დაეხმაროს, თუ ამის მსურველი ვინმე იქნება.

განზრახულია მოთხოვნილ იქნას დამქირავებლებისაგან დახმარების დღის გასამრჯელოს გაორკეცება კვირის მუშაობისათვის.

შემდეგ არჩეულ იქნა დადგენილებათა განსახორციელებლად კომისია.

### ფოთში.

მიწის ძვრის დღეებში გორის მაზრაში დაზარალებულთა დასახმარებლათ შესდგა ფოთში დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი. კომიტეტის მოწოდებას საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ყოველი დარგი და ჯგუფი იღებს თავის წვლილს დაზარალებულთა სასარგებლოთ. თვითმართველობამ გადასდო ჯერ ჯერობით 50 000 მან., ადგილობრივმა კოოპერატივ „ეკონომიამ“ გაიღო 75000 მან. და აგრეთვე დაადგინა, ყოველ გასაყიდ საქონელს ექვსი თვის განმავლობაში დაადოს ორი პროცენტი დაზარალებულთა სასარგებლოდ. ფოთის პროფესიონალურ კავშირების საბჭომ დაადგინა: თვითოეულ მუშა-მოსამსახურემ გადასდოს „გორის ფონდის“ სასარგებლოთ ერთი დღის ჯამაგირი (სამუშაო ქირა).

ფოთის ვაჭარ-მრეწველთა კავშირმა მიიღო თავის თავზე 75 კაცის რჩენა. თუ ფოთში ჩამოვლენ, თუ არა და გაიღოს ამის მაგიერ შესაფერისი თანხა.

ყველა გასართობებზე დადებულია „გორის ფონდისათვის“ განსაზღვრული $^0/_0$-ტი.

ფოთის გიმნაზიელებმა მოაგროვეს ამავე მიზნით 15000 მან.

ქალაქის თვითმართველობამ გაუგზავნა გორელებს ორი ვაგონი შეშა, განზრახულია აგრეთვე სალამოების მოწყობა ფონდის გასაძლიერებლათ.

## დამფუძნებელი კრების კომისიებში.

### საკონსტიტუციო კომისიაში.

ოთხშაბათს, 3 მარტს, საღამოს 7 საათზე შესდგა საკონსტიტუციო კომისიის სხდომა, რომელზედაც, თანახმად კომისიის დადგენილებისა, მოწვეულ იყო რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი. გასარჩევი იყო საკითხი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ; სხდომას დაესწრნენ შემდეგი წარმომადგენელნი: სომეხთა ეროვნულ საბჭოსაგან, მუსულმანთა ეროვნულ საბჭოსაგან, რუსთა ეროვნულ საბჭოსაგან, ამიერ-კავკასიის გერმანელთა კავშირის ცენტრალურ საბჭოსაგან, ტფილისის ებრაელთა ეროვნულ საბჭოსაგან, ელინთა მეორე ყრილობისაგან და ებრაელთა სოციალ დემოკრატიული პარტიის—„ბუნდის“ წარმომადგენელი; ვინაიდან გამოირკვა, რომ ამ დღისათვის, დროის სიმცირისა გამო, წარმომადგენელთ არ შეუძლიათ გააცნონ საკონსტიტუციო კომისიას მათ მიერ წარმოდგენილ ორგანოების კონკრეტიული თეზისები ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ, დადგენილ იქნა: სხდომა გადაიდოს, წინასწარ გასაცნობათ აღნიშნული თეზისები წარედგინოს საკონსტიტუციო კომისიას ორშაბათს, 8 მარტს, ხოლო შეერთებული სხდომა შესდგეს ოთხშაბათს 10 მარტს, საღამოს 7 საათზე.

### აგრარულ კომისიაში.

დამფუძნებელ კრების აგრარულმა კომისიამ მოიწონა მიწათ-მოქმედების მინისტრის პროექტი იჯარით გაცემულ მამულების საიჯარო გადასახადების გადიდების შესახებ.

### საგზაო კომისიაში.

დამფუძნებელ კრების საგზაო კომისიამ მოიწონა გზათა მინისტრის პროექტი გზათა დეპარტამენტის ცენტრალურ ორგანოს შტატების და მოსამსახურეთათვის ნაწილობრივ ჯამაგირების მომატების შესახებ.

გზათა კომისიამ მოიწონა პროექტი გზათა უწყების მოსამსახურეთათვის „დღიური ჯილდოს“ მომატების შესახებ.

## ერობა

### ტფილისის სამაზრო ერობაში.

ერობაში მიღებულ ცნობებით ზოგიერთ თემებში უკვე შემდგარან მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სარაიონო კომიტეტები, ზოგან კიდევ შესდგომიან შემოწირულებათა მიღებასაც.

სართიჭალის თემის წარმომადგენლებმა გ. გ. ნანეიშვილმა და მ. ჯილაურმა წარმოადგინეს მაზრის ერობაში ფულად შემდეგი შემოწირულება: 1) მოგროვილი სართიჭალის რ. მილიციის უფროს ზახარიევის მიერ ს. მულანლოში 2610 მან. და მისგანვე ცალკე 920 მან.; 2) პატარძეულის საზოგადოებისაგან 5159 მან.; 3) პატარძეულის ს. დ. კოლექტივისაგან—1000 მან; 4) პატარძეულის საფეიქრო სკოლის მოწაფეთაგან 200 მან. და გომბორის საზოგადოებისაგან—1675 მან., სულ—11565 მან. საგარეჯოს თემში. საგარეჯოს რ. მილიციის უფროს ძიძიგურმა წარმოუდგინა მაზრის მილიციის სამმართველოს შეგროვილი მილიციონერთა შორის 2450 მან.

ამა წლ. 28 თებერვალს ერობის მოსამსახურეთა კავშირმა თავის ყრილობაზე დაადგინა გაიღონ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთ დღიური ჯამაგირი, რაიცა სავალდებულო იქნება აგრეთვე პროვინციაში მყოფ ერობის მოსამსახურეთათვისაც. კავშირის დახმარება უდრის თითქმის 20,000 მან.

ტფილისის მაზრის ერობამ გაიწერა მაზრაში 45 სკოლისათვის ნახევარ წლით თითო ცალი შემდეგ ჟურნალებისა—„ნაკადული“, „ჯეჯილი“ და განათლება“, რისთვისაც გადადებულია 12375 მან.

ბორჩალოს რაიონის მილიციის უფროსად დანიშნულია ამა წ. I თებერვლიდან თანაშემწე ყარაიაზის რაიონის უფროსისა, გ. ნ. ნიკ. ჩოლოყაშვილი.

## დეპეშები

### (საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

### ფრანგული ცნობები.

ინგლისის ფლოტის კონსტანტინეპოლში ჩასვლამ ოსმალეთის წრეებზე დიდი გავლენა მოახდინა.

იტალიასა და სერბიას შუა გრძელდება მოლაპარაკება ადრიატიკის საკითხის შესახებ.

სამშაბათს პალატაში შეიტანეს შეკითხვა რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ. თავის პასუხში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მთავრობის სახელით მადლობა გადუხადა იმ საკმაოთ მრავალ რიცხვიან რკინის გზელებს, რომელნიც თავის მოვალეობას ერთგულად ასრულებდნენ. პალატამ 503 ხმით 75 ხმის წინააღმდეგ მილიერანს ნდობა გამოუცხადა.

პალატის საფინანსო კომისიამ დანიშნა შინა კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს საზავო ხელშეკრულობის ეკონომიურ და ფინანსიურ პირობათა ასრულებას. სხვათა შორის მაში შედიან კლოტცი და ლუშერი. ეს შინა-კომისია დამოკიდებულობას დაიჭერს საგარეო საქმეთა შინა კომისიასთან, რომელსაც მინდობილი აქვს საზავო ხელშეკრულობის პირობების საერთო ასრულებაზე თვალ-ყურის დევნება. პირველი სხდომა მოხდება კვირის ბოლოს.

სენატმა დაადასტურა 1920 წელში ჯარში გაწვევის კანონი.

„ტანის“ ცნობით საეჭვოა, რომ საფრანგეთიდან დაეთანხმოს რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოთა მოწოდებას საბჭოთა მთავრობასთან ზავის შეკვრაზე.

ბერნის ეროვნულმა კრებამ 115 ხმით 55 ის წინააღმდეგ მიზანშეწონილად აღიარა შვეიცარიის ერთა ლიგასთან შეერთება.

ვაშინგტონიდან იუწყებიან ლონდონში: პრეზიდენტმა ვილსონმა გაათავა თავისი პასუხი ინგლისის და საფრანგეთის პრემიერ მინისტრებისადმი ადრიატიკის საკითხის შესახებო, ეს პასუხი ევროპაში გადაცემული იქნება ოთხშაბათს საღამოს.

**სამხედრო ცნობა.** მურმანის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ქალ. კემი აიღო. პრიპიატიდან დნესტრამდე მდგომარეობა არ შეცვლილა. პოდოლის-მოგილევის რაიონში დნესტრის ხაზზე ჩვენი ჯარის წინ წაწევა გრძელდება. როსტოვის რაიონში სამხრეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. აღმოსავლეთით ჩვენ ავიღეთ კაგალნიცკაია და სად. კაგალნიკი, წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელ თ ვიგდეთ 3 ორთქლმავალი, 2 სანიტ. მატარებელი პერსონალით და ავათმყოფებით. მტრის დევნა გრძელდება. სტავროპოლის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. ყუბანისკენ მიიწევს. სვიატოკრესტის რაიონში შეტევა კარგად ვითარდება.

### პრესის მიმოხილვა.

რადეკი „იზვესტიაში“ სწერს: ინგლისის მთავრობამ რუსეთის კოოპერატივების წარმომადგენლებს ნება დართო ლონდონში მისვლისა. არ შევწყვეტთ რა მოთხოვნას, რომ განახლებულ იქნეს დიპლომატიური დამოკიდებულება. ჩვენ ჯერ თანახმა ვართ ამ დამოკიდებულების კოოპერატიული ფორმისა, რათა შემდეგ ლაპარაკიდან გადავიდეთ ზავზე და საზავო მოქმედებაზე. ვაჭრობის გასაახლებლად ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ლონდონში მოლაპარაკება დასრულდება არა სიტყვების კამათით, არამედ ფაქტიური, ვაჭრობის დაწყებით. ნუ ვილაპარაკებთ ძველ ცოდვებზე, ეხლავე აუცილებელია, რომ ინგლისის მთავრობამ და ბოლოს ორივე მხარეში ვაჭრობის დაწყების საბოტაჟის ცდამ მტკიცე ხელით მოსპოს. ეს ცდა გამოდის პარიზის და ინგლისის სამხედრო სამინისტროების ზოგიერთ წრეებიდან. თავის ხალხში მათ უკვე მიაღწიეს იმას, რომ არა სამხედრო არამედ პოლიტიკური მართველობით საზღვრავენ სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების კურსს. ფრანგები აქეზებენ პოლონელებს დაიწყონ საბჭოთა რუსეთთან ომი. თავის თავად იგულისხმება, რომ თუ ჩვენ მოგვიხდა ბრძოლა, იძულებული შევიქნებით მთელი ძალა სამხედრო-მოქმედებას მოვანდომოთ და ჩვენ შეძლება არ გვექნება ეს ძალა მოვახმაროთ ტრანსპორტს, ურომლისოდაც სავაჭრო დამოკიდებულება შეუძლებელია. ამისგამო თავის ინტერესებისათვის ინგლისმა გარკვევით და ნათლად უნდა დაუმტკიცოს პოლონეთის და საფრანგეთის მთავრობას რომ ინგლისი აღმოსავლეთ ევროპის კვლავ დანგრევისა და განადგურების წინააღმდეგია.

რადგანაც ინგლისის მთავრობას რუსეთის კოოპერატორებთან მოლაპარაკების დაწყება სურს, მას არ უნდა დაავიწყდეს ის ორი პირობა, რომელსაც ანგარიშს უწევენ ინგლისის პატიოსანი კომერსანტები და ეს პატიოსანი თამაში სისწორე და გაურკვევლობაა. უდიდესმა სავაჭრო ფირმამ, დიდმა ბრიტანეთმა თითონ უნდა იცოდეს, თუ მას რა სურს და თავიდან აიცილოს დაბრკოლებები, რომელიც ამ საქმეს წინ ეღობება. ზავის საქმე არ იქნება უზრუნველყოფილი მანამდე, სანამ ინგლისი გარკვევით არ ეტყვის საფრანგეთს, რომ იგი თანახმა არ არის, რომ საფრანგეთის დიპლომატებმა და პოლონეთის ავანტიურისტებმა ხელი შეუშალონ მის სავაჭრო დამოკიდებულობას. მეტი სიაშკარავე, მეტი გარკვეულობა.

მოსკოვი. „პრავდა“ იუწყება მოსკოვის ხელახლად არჩეული საბჭოს პირველი სხდომის შესახებ: ეხლა, სწერს „პრავდა“ პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობასთან ერთად საბჭოს წინაშე სდგას საკითხი ეკონომიური აღმაშენებლობისა. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით, რომ საბჭო ყოფილიყო არა მარტო „მუშათა პარლამენტი“ არამედ ყოფილიყო დიდი საქმიანი ორგანიზაცია. ჩვენ ყოველთვის აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მუშათა დეპუტატები იყოს არა ბურჟუაზიული სახის, რომელიც მხოლოთ ლაპარაკობს... ლაპარაკობს... და ლაპარაკობს... მუშათა დეპუტატი უნდა იყოს საბჭოს კაცი, რომელიც მეტს აკეთებს, ვიდრე ლაპარაკობს. პირობები კი ეკონომიური აღორძინების და აღმაშენლობის სფეროში პირველათ საქმეს მოითხოვს.

## ბათომის ისტორია

1878 წ. რუსეთსა და ოსმალოს შუა ატეხილი ომი დამთავრდა. იმ დროს, საქმე ისე მოეწყო, რომ ბერლინის კონგრესის ძალით, ოსმალებს რუსეთისათვის უნდა დაეთმო ბათუმი, ართვინი და აჭარა თავის მიდამოებით და ამათ სანაცვალოთ, რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა უკან დაებრუნებინათ არზრუმი, რომელიც რუსებმა აიღეს 1877 წლის ბოლოს.

ოსმალნი ამ პირობით გახარებულები იყვნენ და ამიტომ ესენი ეჩქარებოდნენ, რომ ბათუმი თავის მიდამოებით რუსეთისთვის მალე ჩაებარებინათ და მის ნაცვლათ არზრუმი მიეღოთ უკან. საჭიროთ მიგვაჩნია, რომ ამ გარემოების შესახებ ორიოდე ცნობა მოვიყვანოთ.

ბათომის ბრძოლაში დიდი ძალი ქართველი ყმაწვილ კაცობა გაწყდა, მარტოთ კახეთიდან წაყვანილების, ახლად მოკრეფილ ქართველთ მეომართ რიცხვის დაღუპვა ქინტრიშის წყალში და ზღვაში 20 ათასზედ მეტი, ყმაწვილ კაცობა, ქართველთა, იმერთა და გურულების რიცხვი კიდევ სხვა იყო და სულ კი 100 ათასი კაცი იქმნება შეწირული.

სამწუხაროთ, მაშინ ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთის სიხარულს და განზრახვას ძლიერ უწინააღმდეგებოდნენ და ამათ ოსმალეთს პროტესტი განუცხადეს ასე:

ოსმალეთს ჩვენ არ ვუყიდნივართ და არც ჩვენს ძველებს გაუცვლივართ მისთვის და ოსმალნი ნურც გვცვლის ჩვენაო. ჩვენ რუსებს არ ჩავბარდებით და სულ გავწყდებითო.

ასეთი წინააღმდეგობის პასუხი ქართველ მაჰმადიანებმა მალე მიიღეს ოსმალოს მთავრობისაგან. იმ დროის, ოსმალოს ჯარის მთავარსარდალმა დერვიშ ფაშამ ასეთი პასუხი მისცა ქართველ მაჰმადიანებს:

თქვენ თუ თქვენის ნებით არ ჩაბარდებით რუსებს და სულთანის ბრძანებას არ შეასრულებთ, მაშინ მე შემოგებმებით, დაგიმორჩილებთ ოსმალოს ჯარით და ძალით ჩაგაბარებთ რუსეთს.

ამაზედ ქართველი მაჰმადიანები ძლიერ დაფიქრდნენ, ამ დროს, მათში ბევრნაირი ლაპარაკი იყო გამართული, ბოლოს დაადგნენ ასეთ დასკვნას, გადა სწყვიტეს:

ამათ შეადგინეს ერთი წრე, ამ წრემ იმეცადინა, დასწერეს საერთო თხოვნა ინგლისურ ენაზედ, ამ თხოვნას ხელი მოაწერეს მრავალთა და ამბობდნენ, რომ ხელის მომწერთ შორის ხელს აწერდენ ალი ფაშა თავდგირიძეც, ამისი ძმა ოსმან ფაშა თავდგირიძე, იმავ დროის ბათუმის გამოჩენილი სანჯლოუ ბეგი უსეინ აბაშიძე და ბევრნიც სხვანი.

ამ თხოვნით მათ მიჰმართეს იმ დროის ინგლისის დედოფალს ვიქტორიას და სთხოვეს, რომ თქვენ გვიპატრონეთ, ჩვენ არც ოსმალები ვართ და არც რუსებიო, ამიტომ ოსმალეთი ჩვენ ნუ გვცვლისო, ჩვენ რუსებს არ ჩავბარდებითო.

ჩვენ გვსურს, რომ თქვენის მფარველობის ქვეშ შემოვიდეთ და თქვენ გვიპატრონეთ ჩვენაო. ამ ამბავმა ოსმალეთის მთავრობა ძლიერ გააბრაზა და შეაფიქრიანა, ამიტომ დერვიშ ფაშამ ქართველი მაჰმადიანები ბათუმში შეჰკარა და ერთ დღეს ამან გამოუცხადა შემდეგი თქმულება და დავალება, რაც ქართველ მაჰმადიანებმაც მოისმინეს და მის შემდეგ ხმა აღარ ამოუღიათ.

ქართველ მაჰმადიანებო, თქვენ თუ ნამდვილი მაჰმადიანები ხართ, მაშინ ფადი შახის ბრძანებას უნდა დაემორჩილოთ და რუსებს უნდა ჩაბარდეთ, რადგანაც თქვენს მაგიერ იგინი ოსმალებს არზრუმს აძლევენ უკანვე. ბათუმს ჩვენთვის არასფერი მნიშვნელობა აქვს და არზრუმი კი ძვირფასი ქალაქია ჩვენთვის.

ბათუმს ჩვენთვის არასფერი მნიშვნელობა აქ, ბათუმს იქით ჩვენ გზა არა გვაქვს, საქართველოში აქიდამ ჩვენ არასფერი შემოსავალი გვაქვს და მაშ აბა რათ გვინდა ჩვენ იგი, დაე ბათუმი გურჯისტანზე წავიდეს და შეუერთდეს და ჩვენ კი მის მაგიერ არზრუმი მოგვეცეს.

მუსულმანებო გაიგეთ, რომ ბათუმი ჩვენთვის უმნიშვნელო ქალაქია. ჩვენს ძველებსაც როცა ბათუმი დაუჭერიათ, მაშინ მათ იმედი ჰქონიათ, რომ მთელს საქართველოსაც დავიჭერთო, მის შემდეგ ბათომსაც დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა. მაგრამ ეს ვერ მომხდარა, საქართველოს სხვა ადგილები მათ ვერ დაუჭერიათ, ამიტომ მათი საზღვრები ბათომში დაკეტილა. ამიტომაც ბათომს ჩვენთვის არასფერი მნიშვნელობა აქვს, აქედან ჩვენ არასფერი შემოსავალი გვაქვს და არზრუმი კი ძვირფასია ჩვენთვის.

ამიტომ მე ვითხოვ დაწყნარებას და თქვენის ნებით ჩაბარებას.

საკვირველია ეს გარემოება და მასთან შეტათ სამწუხაროც, რომ აწინდელი ოსმალოს მთავრობა ისე გამოყრუებულა და ესენი ისე დაბრმავებულან, რომ 1878 წ. გამოცხადებული თავიანთი აზრები დავიწყებიათ და დღეს უზრდელათ მისდევენ ბათუმს და ძალით უნდათ იქ შემოჭრა.

თუ კი ბათომს ოსმალთათვის მაშინ არ ჰქონდა მნიშვნელობა და ბათომიდან არასფერი შემოსავალი ჰქონდათ, რადგანაც ბათომს აქეთ მათ გზა არ ჰქონდათ და კარი ჩაკეტილი ჰქონდათ, ნუ თუ ეხლა კი ისე არ იქმნება და ბათომს აქეთ მათ გზა არ ექმნებათ.

ახლა რამ გამოაყრუვათ იგინი ასე და რამ დააბრმავა, რომ ეს გარემოება დაავიწყდათ და მაზედ აღარას ფიქრობენ. იქმნება მათ იმის იმედიც აქვთ, რომ ის რაც ჩვენმა შვილებმა ვერ შესძლეს და ბათომს იქით საქართველო ვერ დაიმორჩილეს, იმას ჩვენ შევსძლებთ ეხლა და დავიჭერთო.

ვინ იცის, შეიძლება... მაგრამ მოტყუვდებიან, ურჩევნიათ სისხლი არ დალვარონ.

ზ. მ.

# სასამართლოში.

## სტოლერმანის საქმე.

მარტის 3-ს საგანგებო სასამართლოში დაიწყო განხილვა ბ. სტოლერმანის საქმისა, რომელსაც ბრალი ედება ცოლის მკვლელობაში. საქმის ვითარება შემდეგში იყო:

იანვრის 15-ს 1920 წ. დილით, სახელმწიფო თეატრის დირიჟორმა ქ. კიაზტის მოქალაქე სამუილ ალექსანდრეს ძე სტოლერმანმა თავის ბინაზე, სასამართლოს ქუჩაზედ რევოლვერის ორი ტყვიით მოჰკლა თავისი მეუღლე ალექსანდრა ფედოტის ასული.

წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ ბ. სტოლერმანი თავის მომავალ ცოლს გაეცნო ციმბირში, სადაც ის დირიჟორობდა, ხოლო მისი მომავალი ცოლი კი მსახიობ ქალის სცენიურ კარიერას იწყებდა.

ისინი ეტრფოდნენ ერთმანეთს და რამოდენიმე ხნის განმავლობაში იყვნენ ბედნიერები ურთიერთ სიყვარულით. ასე გავიდა წელიწად ნახევარი რის შემდეგ ბ. სტოლერმანმა, ალექსანდრა ფედოტის ასული მოთხოვნით მასზედ იქორწინა, რისთვისაც მან, ებრაელმა მართლ-მადიდებლობა მიიღო. მაგრამ მათ შორის მალე იჩინა თავი უთანხმოებამ და მათი ოჯახური ბედნიერება შეირყა.

მიზეზად ამისა იყო მათი ხასიათების შეუთავსებლობა: ქმარი იყო წყნარი, მშვიდი, სუსტი ნების პატრონი, ამასთანავე სუსტი ჯამრთელობით.

ცოლი: ნების პატრონი, სავსე ძალ-ღონით.

ქმარი ნაკლებ იყო ჩვეული პრაქტიკულ ცხოვრებაში, ცოლი კი მართავდა ოჯახს და ვერ ითმენდა თავის სურვილების შეზღუდვას თუ დაუკმაყოფილებლობას. ასეთი ურთიერთობა ჰქონდა თავის ქმართან და ასეთ იქცეოდა სხვებთან. ის თავის ქმრისგან სრულ მორჩილებას ითხოვდა, მის შემოსავალსაც ის განაგებდა. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ბ. სტოლერმანს მანეთი არ ჰქონია ჯიბეში.

ცოლი ერეოდა მის მუსიკალურ საქმეებში და ამ ნიადაგზე ბევრი გაუგებრობა იბადებოდა. ლანძღავდა ქმარს, ეძახდა: ურიას, იდიოტს და სხ.

ერთხელ, 2—3 წლის წინედ ესსენტუკის პარკში თავის ქმარს დიდი სკანდალი შეუქნა და ქოლგითაც გამოეკიდა საცემლად.

სტოლერმანი ეძებდა მუსიკაში არა მარტო საშუალებას, არამედ უმაღლეს ესტეტიურ ტკბობასაც. ცოლი მისი კი სულ ფულებზე ჰფიქრობდა და ერთხელ, 1919 წლის ზაფხულს მან აიძულა სტოლერმანი წაღვერიდან ტფილისს ჩამოსულიყო კონცერტის გასამართად.

ამნაირად ჰქრებოდა სიყვარული ამ ორ ადამიანში და ერთმანეთისადმი ძულვარებით იმსჭვალებოდნენ.

ორი წლის წინად სტოლერმანმა სახელმწიფო თეატრში პირველ დირიჟორის ადგილი დაიჭირა. ეს იმ ხანებში იყო როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

სტოლერმანი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა პირველ ქართულ ოპერას „აბესალომ და ეთერი“ ბევრი იშრომა მასზე, მაგრამ უფრო მეტი ენერგია შესწირა დოლიძის ქართული კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“-ს შესწავლას.

მოკლე ხანში მას უნდა ედირიჟორნა „აბესალომ და ეთერი“ სთვის, მაგრამ ცოლი ამას წინააღდგა; მას სძულდა ქართული მუსიკა, უჯავრდებოდა ქმარს ხელში „აბესალომ და ეთერი“ აღარ და ამ ოპერას ვირის ოპერას უწოდებდა.

ერთხელ მან ქმარს განუცხადა: „თუ „აბესალომ და ეთერი“-ს პარტიტურას თავიდან არ მოიშორებ მე დაგიწვავო“ ო.

ამაზედ სტოლერმანი დაემუქრა „შენ თუ დასწვავ, მე მოგკლავო“ ო.

ერთხელ ცოლმა სტოლერმანს სახლში დიდი სკანდალი გაუმართა იმ ნიადაგზე, რომ ყველანი იმართავენ ბენეფისს, შოულობენ დიდ ფულს და მას კი ეს არ შეუძლიან.

ამ ჩხუბის დროს, ცოლმა სტოლერმანს ხელები დაკაწრა, შემდეგ საძილე ოთახში შევარდა, იქიდან ბალიში გადმოუგდო და ოთახში კი ჩაიკეტა. რასაკვირველია შეურაცხყოფილი და დამდაბლებულმა სტოლერმანმა ვეღარ დაიძინა. მას მოაგონდა, რომ ამას წინად ხან დაუსრულებელ 15 წლის თავის ოჯახურ ცხოვრებისა და იმ იმედზე, რომ მისი ოჯახური ცხოვრება გამოსწორდება, მაგრამ არავითარი ცვლილება კი არ მოხდა.

მას ჰქონდა გატეხილი სმიტის და ვესონის სისტემის რევოლვერი, ცოლის თანდასწრებით ამოიღო თეთრეულიდან და ჯიბით ატარებდა.

ამ საღამოთი, იანვრის 15 ს, სტოლერმანმა გადასწყვიტა ბოლო მოეღო ასეთ უბედურ ცხოვრებისათვის ან თითონ მოეკლა თავი ან კიდევ ცოლი ყოფილიყო მსხვერპლი და სამაგიერო ყველა მისი დამდაბლებისა და დამცირებისა. ამ ფიქრებით ტან გაუხდელმა ჩაიძინა.

დილით გაიღვიძა თუ არა, დააპირა „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა გაევლო რადგან ცოლს ეძინა. გახსნა პარტიტურა, რომელშიაც რამდენიმე ფურცელი იყო ამოხეული.

ამ გარემოებამ იმდენად აღელვა სტოლერმანი, რომ მყისვე ორჯელ ესროლა რევოლვერი მძინარე ცოლს, რითაც ის მოჰკლა. შემდეგ გამოვიდა იმ ოთახში, რომელშიც მთელი ღამე გაატარა და იქ იმყოფებოდა იქამდე სანამ მერძევე ქალმა კარები არ დაუკაკუნა ჩვეულებისამებრ, რამაც ის გამოარკვია სრულ აპატიიდან.

ის მივიდა ცოლის გვამთან, მისი ქისიდან ასი თუმანი ამოიღო, დასტოვა სახლში რევოლვერი, ჩაკეტა კარები და ქუჩაში გამოვიდა. რუსთაველის ქუჩაზედ ის შეხვდა „აბესალომ და ეთერის“-ს ავტორს ზ. ფალიაშვილს და მას უამბო მომხდარი ამბავი.

სტოლერმანის მიერ ჩადენილი მკვლელობა განხილულია როგორც განზრახ მოფიქრებული და ბრალდება აქვს დასჯ. დებ. 1 ნაწ. 1451 სტ., რომლის ძალითაც ბრალდებული უვადო კატორღით უნდა დასჯილიყო, მაგრამ სასამართლომ ის გაამართლა.

# ახალი ქართული გემის ჩაშვება შავ ზღვაზე.

ფოთიდან დეპეშით აუწყებენ პრეს ბიუროს: 3 მარტს შუადღის 2 საათზე აქ ზღვაში ჩაუშვეს საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების სამ ანძიანი გემი „ქართლი“.

გემის ზღვაში ჩაშვებას და საცდელ გასვლის ზეიმს დაესწრენ დამფუძნებელ კრების წევრნი სპ. კედია და ალ. ასათიანი, საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების დირექტორი ჯაფარიძე, სატრანსპორტო ნაწილის გამგე ინჟინერი და სხ.

ეს სატრანსპორტო საზოგადოების მეოთხე გემია ჩაშვებული შავი ზღვის ნავთ-სადგურებში სასიარულოთ.

# სხვა და სხვა.

✦ დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიაში შევიდა რადიკალ-დემოკრატიულ პარტიის და უპარტიოთა კავშირის განცხადება, რომ ისინი დამფუძნებელ კრების დამატებით არჩევნებში თავის სიას უერთებენ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის სიას.

✦ გამოვიდა და იყიდება იუსტიციის სამინისტროში (სასამართლოს ქუჩა № 32) რუსულ-ქართული იურიდიული სიტყვარი (ლექსიკონი) ფასი ორმოცდა ათი (50) მანეთი.

✦ საგანგებო რაზმიდან დაითხოვეს თანამშრომელნი: უფროსი—ნიკოლოზ ილარიონის ძე გოგიაძე და უმცროსი—ბენიაზე კონსტანტინეს ძე წერეთელი—მექრთამეობისათვის და უმცროსნი—მიხეილ სტეფანეს ძე ფიფინაშვილი და ლევან ივანეს ძე გულაშვილი—ლოთობისათვის.

✦ კონსულ ალნიაშვილისაგან ნატანებიდან შემდეგი დეპეშა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა: ბათუმისაკენ მომავალი გემი „დანუბი“ მესაჟერი მარიტიმის საზოგადოებისა 2 საათის სავალის მანძილზე ნაღმს წააწყდა. გემზე ბლომად იმყოფებოდნენ ქართველი ქვეშევრდომნი. მათგან დაიღუპა ათი ქართველი ვაჭარი: 1) შენგელია სილოვან, 2) ციციაშვილი დავით ხაიმ, 3) თავდიდიშვილი არონ სიმონის ძე, 4) ფიჩხაძე აბრამ, 5) მამულაშვილი სიმონ, 6) აბრამაშვილი მიერ, 7) კაკიაშვილი მოიშე, 8) არონაშვილი სამუელ ბაქოდან, 9) ელქოზაშვილი ისხაქ და 10) შაფთოშვილი შაბათ. აგრეთვე დაიღუპა 7 ქართველი ჯარის-კაცი გერმანიაში ტყვედ ნამყოფი მარსელიდან მომავალნი: 1) იაგონიშვილი გაბრიელი, 2) მღივანოვი ბუდდან, 3) ქართველიშვილი კონსტანტინე, 4) ყარიმელი ქრისტეფორე, 5) ოდიშარია ისიდორე, 6) ლეკავა მიხეილ და მე 7) სარტყელაძე ილია. დანარჩენი მგზავრები გადაარჩინა შემთხვევით მიმავალმა გემმა ვარნამ და სტამბოლში მიიყვანა.

# მილიციაში

სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო დამნაშავე გრიგოლ ბესჩასტნი, რომელსაც ტფილისის საგანგებო სასამართლო ეძებდა.

— სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო და ქუთაისის მილიციის უფროს გაუგზავნა ივანე დუმბაძე, რომელსაც ბრალი ედება მდიდარ ებრაელის ვაჟის მოტაცებაში, გამოსყიდვის მიზნით.

— ოსმან მამედ ოღლის ბინაზე, ვორონც. ქ., № 10, აღმოაჩინა სისხლ. სამართ. მილიციამ ოსმალური ყინტოვკა და 220 პატრონა. იარაღს კონფისკაცია გაუკეთეს. ოსმან მამედ ოღლი პასუხისგებაშია მიცემული.

### განცხადებანი

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალექსი ანდრიას ძე ქინქლაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარტინე დოლუის ასული ელისა ქინქლაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1907 წელს უკვალოდ დაიკარგა 1908 წლიდან, რის გამო აღნიშნული ალექსი ანდრიას ძე ქინქლაძე, თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ მარტინე დოლუის ასულ ქინქლაძეს მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადებისა 2 თვის განმავლობაში. 172 2—2

ილარიონ ტრიფონისძე სამყურაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული შორაპნის მაზრის მილიციის უფროსისგან. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.

260 1—1

ლიდია ივანეს ასული ციცკოვსკაია აცხადებს, რომ დაჰკარგა ტფილისის მე II ქალთა გიმნაზიის მე 7 და 8 კლასის დამთავრების მოწმობა სიმწიფის მოწმობა და მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებიდან მიღებული მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს.

400 3—1

გიორგი გრიგოლის ძე ლევინიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული დუშეთის მაზ. სოფ. ახალ გორის კომისარიატიდან პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 401 3—1

ელისაბედ დიომიდეს ასული კილაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ინსტიტუტში შესასვლელი ბილეთი მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტიდან № 389 ბილეთი გაუქმებულად ჩაითვალოს. 402 3—1

ვექსილობა მიცემული ჩემს მიერ ნოტარიუსის წესით 20 აგვისტოს 1916 წელსა რეესტრით 5291 ნაფიც ვექილზე ბერძულზე ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის შესახებ, დღეიდან გაუქმებულად ითვლება. მელიტონ ილიას ძე ბაქრაძე. 393 3—1

გრიგოლ ივანეს ძე გურულიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილის. მაზ. სოფ. ხატი-ტელეთის კომისარიატიდან № 63. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 392 3—1

დაკარგულია სახლის დავთარი მალაკნის ქ. № 10 უბ. სოფიო ამირბეგოვის სახელზე. დავთარი გაუქმებულად ჩაითვალოს.

395 3—1

ნაუმ ისაკის ძე ბატკინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოდან № 296. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს.

396 3—1

პავლე პეტრეს ძე ჯოჯუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი მიღებული ფოთის საზღვაო-ლტერო კურსებიდან № 62. ატესტატი გაუქმებულად ჩაითვალოს. 258 3—1

დავკარგე ამა წლის 20 თებერვალს 1 სულის სასურ. № 26747, მიცემული ტფილისის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებიდან. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: გენერალურ შტაბის განყოფილება, საკავშირო ნაწილის უფროსის თანაშემწეს პლატონ გიორგის ძე ბერძენს. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნაკს გაუქმებულად ვაცხადებ. 394 3—1

ივანე გლახუას ძე ლომთაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის დავთარი მე-5 უბ. აბანოს ქ. № 13. სახლის დავთარი გაუქმებულად ითვლება. 391 3—1

დაიკარგა 1920 წლისათვის სახაზინო რკინის გზებზე უფასო სამგზავრო წლიური 1 კლასის № 300 ბილეთი კახეთის რკინის გზის აგენტის სახელზე. ბილეთი გაუქმებულად ითვლება. 385 3—1

ნიკიფორე ივანეს ძე შიბაევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფილ. ქალ. გამგეობიდან 24 იანვარს, № 158, მე-10 უბ. გადასახადთა აგენტის მიერ 1500 მან. მიღების კვიტანცია № 78668. საბუთები გაუქმებულად ითვლება.

404 3—1

დაკარგულია კოოპერატივ „მეურნეს“ წიგნაკი № 247 კონსტანტინე მაღალაშვილის სახელზე. წიგნაკი გაბათილებულად ჩაითვალოს. 363 3—1

დაკარგულია სახლის დავთარი მე 7 უბ ავლაბრის ქ. №1. სოფიო ასატურის-ასულის გასპაროვის სახელზე. დავთარი გაუქმებულად ითვლება. 405 3—1

მე 2 რაიონის ტყის რევიზორი ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ მიმდინარე 1920 წლის 6 აპრილს, დღის 12 საათზე, ტფილისის სამაზრო ერობაში, ქ. ტფილისში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შულავერის ტყის სამოურავოში 1919 წელს აღრიცხული მოსაჭრელი ტყის ნაწილების, შემდეგ აგარაკებში: 1, შულავრის, 2, ხუდაბაკირის, 3, წეროქვის, 4, ოფრეთის, 5, ლოქის, 6, დარბაზის, 7, ფარხალის, 8, კაზრეთ-ისპიანის, 9, სარაჩლის და 10, კიონეთის.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება მარტყოფივრის ტყის სამოურავოში, ტფილისის მაზრის, სოფელ სართიჭალაში, ყოველ დღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ხოლო ვაჭრობის დღეს—ტფილისის სამაზრო ერობაში დღის 12 საათამდე.

398 3—1

ელენე მაჭავარიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 343, მიღებული ქ. ბორჯომის მილიციის უფროსისგან.

365 1—1

ზაქარია იაკობის ძე ყორღანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი ქ. კოჯორში სდებარე მიწებისა, ზომით 700 კვ. საჟ., რომელიც მას ეკუთნის. სიგელი დამტკიცებულია ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1892 წ., სექტემბრის 5. № 1207. სიგელი გაუქმებულად ითვლება.

397 3—1

ლავრენტი ნესტორის ძე ამაშუკელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) უვადო პასპორტი, მიღებული შორაპნის მაზრის უფროსისგან № 26, 2) მეტრიკული მოწმობა, მიღებული სინოდის კონტორიდან და 3) ხელშეკრულებანი და სხვა და სხვა კვიტანციები. აღნიშნული საბუთების მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს ყველა შემდეგი მისამართით: ვერის დაღმართი, სანთლის სავაჭრო, ლავრენტი ამაშუკელს, წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთები გაუქმებულად ჩაითვალოს. 380 3—2

ალექსანდრე მიხეილის ძე გრიგორიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიცემული ენკენდის სასოფლო სამართველოდან 12 ნოემბერს 1918 წ. № 17191. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 383 3—2

ლავრენტი ბეკოს ძე მიქაძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი მიღებული ქალაქის სასურსათო განყოფილებიდან № 25773. ბარათი გაუქმებულად ითვლება. 3—2

დაკარგული სახლის დავთარი, ბებუთოვის ქ. № 6, გ. კ. სტეფანოვის გაუქმებულად ითვლება. 390 3—2

მიხეილ მაქსიმეს ძე სირბილაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქუთ. მაზ. სოფ. ფარახეტის კომისარიატიდან 9 დეკემბერს, 1919 წ. პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 387 3—2

# ქართველ მერძევეთა ამხანაგობა

„განთიადი“ ამით აუწყებს პაის პატრონებს, რომ კვირას 1920 წ. მარტის 21-ს, დღის 12 საათზე, კერძო ლომბარდის ბინაზე დანიშნულია პაის პატრონთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1918/19 წლ. ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 2. გამგეობის წევრის არჩევა. 3. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა. მიმდინარე საკითხები.

2—2 413



რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.